პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 77 (14073) | სამშაბათი, 2 აპრილი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ეს მოხდა გუშინ

გვირაბგამყვანთა ახალი რეკორდი

ბალი. 1 აპრილი. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. ი. გოგბერიძისა). გუშინ ენგურის ნაპირებზე ძალოვანი კვანძის მშენებლობის სამმართველოს კოლექტივმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. დილით ადრე გივი ნადირაძის ბრიგადის გვირაბგამყვანებმა სამშობლოს უპატაკეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკლისრი ვალდებულების ერთი პუნქტის პირნათლად შესრულება. გვირაბგამყვანებმა ერთ თვეში 115 გრძივი მეტრით წასწიეს წინ ენგურჰესის მთავარი მიწისქვეშა ელექტროსადგურის ერთ-ერთი გვირაბი. დიდი განივი კვეთის გვირაბის გაყვანის ისტორიაში ეს საკავშირო რეკორდია.

ამ მოწინავე ბრიგადის წევრებმა გასული წლის დეკემბერში დამყარებულ საკუთარ რეკორდს 5 მეტრით გადააჭარბეს.

32 ვაჟკაცი შრომობს ამ სახელგანთქმულ ბრიგადაში. ისინი ოთხ ცვლაში მუშაობენ. თანამედროვე სამშენებლო ტექნიკით აღჭურვილნი ებრძვიან მიწისქვეშა უამრავ. მათ განკარგულებაშია 1 ექსკავატორი, 10 ათტონიანი თვითსაცლელი, 1 ბულდოზერი. გამყვანებს აქვთ გვირაბსაბურღი ჩარჩო, 1 თვითმავალი 2-ნიკოსიანი გოკსანი და ბრიგადის უფროსის ზ. ვაჩაძის და ბრიგადის წევრების მეცადინეობით დანადგარის სიმძლავრე 2-ჯერ გაიზარდა.

ენგურჰესელი გვირაბგამყვანები დღეს საკავშირო რეკორდსმენები არიან.

ხუთნლეული — ვაჟკაცური ბიბლიოთეკა

ორდღიანი დასვენება და კულტურის კერები

ხუთ სამუშაო და ორდასვენებიდღიან კვირაზე შრომითი კოლექტივების გადასვლის შემდეგ, საბჭოთა ადამიანის შრომა უფრო ნაყოფიერი გახდა, დასვენება — მრავალფეროვანი და კულტურული. ხუთდღიანმა სამუშაო კვირამ არსებითად შეცვალა თავისუფალი დროის ბალანსი. ახლა წელიწადში ორმოცდათორმეტი-მეტი დასვენების დღეა, ვიდრე წინათ იყო. ამოცანა ის არის, რომ დავეხმაროთ ადამიანებს რაც შეიძლება უფრო რაციონალურად გამოიყენონ ეს გადიდებული თავისუფალი დრო.

ახალი გრაფიკით მუშაობამ დიდი საზრუნავი გაუჩინა საწარმო-დაწესებულებების მესვეურებს, კლუბებსა და კულტურის სახლებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ახლა მათზე ბევრად არის დამოკიდებული შრომელთა კულტურული და ნაყოფიერი დასვენება.

მუშა და გლეხი, ინტელიგენტი, ყველა საბჭოთა ადამიანი, სადაც არ უნდა მუშაობდეს ის, სასიცოცხლოდ დაინტერესებულია იცოდეს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ცხოვრება. ისინი დაინტერესებული არიან შეხვდნენ ერთმანეთს, გაუზიარონ მუშაობის გამოცდილება, გაეცნონ ხალხური ხელოვნებას, ნახონ ახალი კინოფილმები, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სპორტულ ასპარეზობებში. ყოველივე ამის ორგანიზება კლუბებისა და კულტურის სახლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეა.

ორდღიანი დასვენების შემოღების შემდეგ ბევრმა კლუბმა და კულტურის სახლმა არსებითად შეცვალა თავისი მუშაობა, შეიმუშავა მთელი სისტემა ღონისძიებებისა, სადაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა დასვენების პირობების შემდგომი გაუმჯობესება.

ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ქუთაისის რკინიგზის მუშათა კლუბი. აქ იმ მიზნით, რომ დასვენების დღეებში ჩატარებული ღონისძიებანი გამომდინარეობდეს მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებიდან და სურვილებიდან, კლუბის გგზეობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად აწარმოებს მშრომელთა გამოკითხვას, იწერს მათ წინადადებებს, სურვილებს და ამის მიხედვით ადგენს მრავალფეროვან და შინაარსიან პროგრამას.

აქ ხშირად ეწყობა მუშა-მოსამსახურეთა შეხვედრები დამსახურებულ მასწავლებლებთან, ტრანსპორტის ვეტერანებთან. კლუბთან არსებულ სასპორტო დარბაზში სისტემატურად ეწყობა მასობრივი ასპარეზობანი.

სამწუხაროდ, ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის ჯერ კიდევ უყველან სათანადოდ რიდი ზრუნავენ. რედაქციაში მრავალი წერილი მოდის იმის შესახებ, რომ ადამიანები ბევრ დროს კარგავენ ცუდი სატრანსპორტო მომსახურების გამო: მუშაობის დამთავრების შემდეგ დიდხანს დგანან ავტობუსის მოლოდინში. იმის შესახებაც იწერებიან, რომ ზოგიერთი მუშა-ა კლუბები დასვენების დღეებში ან დაკეტილია, ან, თუ ღიაა, მათი პროგრამა იმდენად ღარიბი და არასაინტერესოა, რომ ხალხი არ ეტანება.

ამ მხრივ ნაკლოვანებები აქვთ ქიმათურის მარგანეცის ტრაპტის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ორდასვენებისდღიან კვირაზე გადასვლის შემდეგ მთელი რიგი კლუბების გამგეობებს არ გადაუხედნიათ თავიანთი პროგრამისათვის, არ უფიქრიათ მშრომელთა უკეთ მომსახურებისათვის. აქ იმას ამბობენ, რომ მათი მუშების უმრავლესობა სოფლებიდან დაიარება და დასვენების დღეებში კლუბში ხალხი არ დადისო. ეს მიზეზი ნაკლებად ამართლებს მათს უმოქმედობას.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კლუბებს, კულტურის სახლებს კიდევ უფრო მეტი გონივრული მუშაობა მართებთ სოფლად. სოფელი დღეს ის აღარ არის, რაც ამ რამდენიმე წლის წინათ იყო. ის ახლა უფრო დოვლათიანია და ღონიერი. მატერიალური კეთილდღეობის კვალობაზე გაიზარდა სოფლის მშრომელთა კულტურაც, გამდიდრდა მათი სულიერი ცხოვრება.

სოფლის მშრომელებს ახლა მარტო მატერიალური უზრუნველყოფა აღარ აკმაყოფილებთ. ისინი უკვე მეტ სიკეთეზე ფიქრობენ. მათ სურთ უფრო კარგი, ლამაზი და მიმზიდველი იყოს მათი სოფელი, ამშვენებდეს კარგი გზები, ხეივნები, პარკები. მათ სურთ კლუბში, კულტურის სახლებში მუდამ სიახლესავსე ცხოვრება ჩქეფდეს, რათა შინაარსიანად გაატარონ თავისუფალი დრო, გაერთონ, დისვენონ, გაიმდიდრონ ცოდნა, გაეცნონ მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევებს, ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თიანეთის რაიონის სასოფლო კლუბი. აქ ხშირად ტარდება კონცერტები, მხატვრული საღამოები, კლუბთან არსებობს დრამატული წრე და ავიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც ხშირად მიდის კოლმეურნეობების ცალკე ბრიგადებსა და ფერმებში, კლუბში სისტემატურად იმართება ლექცია-მოხსენებები და საინტერესო შეხვედრები სოფლის მოწინავე ადამიანებთან, ნაყოფიერად მუშაობს ლიტერატურული წრე, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ სოფლის მასწავლებლები. შესაქებია სანიტარულ-პიგიენური წრის წევრების მუშაობა. ისინი ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ ამაღლდეს სოფლის სანიტარული კულტურა და პროფილაქტიკა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამავე რაიონში არის ისეთი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ოდნავაც ვერ აკმაყოფილებენ სოფლის მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. ასეთია სოფელ ქვემო ნაქალაქარის სასოფლო კლუბი. აქ იშვიათად თუ იმართება საღამო-წარმოდგენები, სრულ უმოქმედობას იჩენენ წრეები. ერთი სიტუაციო, კლუბმა ვერ მოიგო კოლმეურნეთა გული, იქ მისვლა არავის არ აინტერესებს. კლუბის ცუდი მუშაობა მხედველობიდან არ გამორჩენია პარტიის თიანეთის რაიკომს, საკითხი ბიუროზე განიხილა და დასახა ღონისძიებანი საკლუბო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

და გაბა მარტო აქ. რედაქციაში მოდის სიგნალები, რომ მთელ რიგ სოფლებში შაბათობით დაკეტილია მასობრივი ბიბლიოთეკები და სამკითხველო დარბაზები, იშვიათად უჩვენებენ კინოს, არ იკითხება ლექცია-მოხსენებანი მშრომელებისათვის საინტერესო საკითხებზე.

ცხადია, ადამიანის დასვენებისა და გართობის სფერო მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით არ შემოიფარგლება, კარგი დასვენებისათვის მას კიდევ სხვა მრავალი საშუალება აქვს. ორდღიანი დასვენება მას შეუძლია გამოიყენოს ქალაქგარეთ ექსკურსიისა და ტურისტული გასეირნებისათვის, ზოგიც დასვენების დღეებს გაატარებს თავის საბოსტნე ნაკვეთში. ასეთი ნაკვეთები მასობრივად გამოუყვეს მუშა-მოსამსახურეებს.

საწარმო-დაწესებულებათა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ყოველივე ეს და საქმე ისე მოაწყონ, რომ თვითეულმა მშრომელმა უკეთ, უფრო შინაარსიანად გამოიყენოს ორდღიანი დასვენება.

მშრომელთა დასვენება უფრო ორგანიზებულად, შინაარსიანად რომ მოეწყოს, ამისათვის საჭიროა გავერთიანოთ საზოგადოებრიობის ძალები, შევადგინოთ მრავალფეროვანი პროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მშრომელთა სურვილები. ყოველნაირად უნდა შევეცადოთ ჩავუნერგოთ ადამიანებს სწრაფვა კულტურული, ჯანსაღი დასვენებისადმი.

ორდასვენებისდღიან კვირაზე გადასვლის შემდეგ ბევრმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებამ საწარმოდაწესებულებების პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ძირფესვიანად გარდაქმნეს მუშაობა, გონივრულად მოაწყეს მშრომელთა დასვენება. ახლა მთავარია ყველას კეთილად გავხადოთ ამ საქმეში მოწინავეთა გამოცდილება, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მშრომელებმა უფრო გონივრულად და ნაყოფიერად გამოიყენონ დასვენების დღეები.

კვარტალური დავალებანი შეასრულეს

ქუთაისი. (საქდესი). ქუთაისის მთელმა რიგმა საწარმოებმა, რომელთა კოლექტივებმა ერთმანეთს ეჯიბრებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, გადამდე შეასრულეს კვარტალური დავალებანი. მათ შორის არის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა, რომელმაც კვარტალური გეგმა 26 მარტისათვის გაანაღდა და სამშობლოს 19 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

ჯერ კიდევ მარტში აპრილის ანგარიშში დაიწყეს პროდუქციის გამოშვება რძის, ლუდის, ჭიმიური, საკონსერვო ქარხნების, სამკერვალო ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკა, ზედიზედ მეორე წელია საკავშირო კვების მრეწველობის სამინისტროსა და პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას ფლობს. ფაბრიკის კოლექტივი არც ამჯერად აპირებს დამბოლ მიღწეული წარმატებანი. ხუთწლეულის მესამე წლის პირველი ორი თვის განმავლობაში ფაბრიკამ 106,2 პროცენტით შეასრულა, სახელმწიფოს 636 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

ფაბრიკაში დიდი ყურადღება ექცევა შრომის ნაყოფიერების ზრდას, გასულ ორ თვეში აქ შრომის ნაყოფიერება 15,2 პროცენტით გაიზარდა, რეალიზაციის გეგმა კი 104,1 პროცენტით იქნა შესრულებული. საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა ასევე ტექნიკისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას, უკანასკნელ ხანს ფაბრიკაში არსებულმა რაციონალიზატორთა შემოქმედებითმა ბრიგადამ ბევრი სასარგებლო ღონისძიება განახორციელა. მათ შორის აღსანიშნავია ფილტრიანი სიგარეტების ჩაშუყობი მანქანის რეკონსტრუქცია. ამ სიახლემ საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და წლიურად 43 ათასი მანეთი ეკონომია მისცა საწარმოს.

მოკლე ხანში ფაბრიკა გამოუშვებს ახალი სახის უმაღლესი ხარისხის ფილტრიან სიგარეტებს „ივერიასა“ და „მზიურს“.

ფაბრიკის კოლექტივის გადაწყვეტილებაა ხუთწლეულის მესამე წლის გეგმა ვადამდე — 15 დეკემბრისათვის შეასრულოს და სახელმწიფოს 670 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს.

თ. კინწურაშვილი.

კირის გამოწვის ოსტატები

მცხეთა. (საკ. კორ.). ხუთწლეული — ვადამდე. ამ დევიზით შრომობს ქსნის სარგებლობს ქარხნის კოლექტივი. აქ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კირის გამოწვის გეგმა დიდი გადაჭარბებით იქნა განაღდებული, ნაცვლად 550 ტონისა გამომწვარია 900 ტონა ვირი. სასახელოდ იშრომეს სასხორისა და ძეგვის კირის ქარხნების კოლექტივებმაც, სასხორის ქარხანაში ყველას გაუსწრო კირის გამოწვის ცნობილმა ოსტატმა ვლადიმერ ხიზანიშვილმა, ხოლო ძეგვის ქარხანაში — გივი სურამელაშვილმა.

40 ახალი მომხმარებელი

ფყალტუბო. (საკ. კორ.). ყველგან დიდი მოწონებით სარგებლობს მშრალი და ზეთოვანი საღებავები, რომლებსაც წყალტუბოს ქიმიური ქარხანა უშვებს. ქარხანას ამ ბოლო წლებში არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია. მარტო მიმდინარე წელს საწარმოს 40 ახალი მომხმარებელი შეემატა. ახლა წყალტუბოს საღებავები იგზავნება მოსკოვში, ტაშკენტში, ალმა-ატაში, ფრუნზეში, კრასნოდარში, ტაგანროგში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

ქიმიკოსებმა ვადამდე, ყველა ასორტიმენტის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს პირველი კვარტალის დავალება და გეგმის გადამეტებით რეალიზაცია უყვეს 50 ათასი მანეთის პროდუქციას. შრომაში დაწინაურდნენ ლაქ-საღებავების და მშრალი საღებავების საამქროების კოლექტივები, რომლებსაც გ. შალამბერიძე და გ. სილაგაძე უძღვებიან.

ქარხანაში საკუთარი საჭირო რეზერვისათვის აწყობენ საღებავების თუნუქის ქილების საამქროს, რომელიც წელს 100 ათას ცალ სხვადასხვა ზომის ქილას გამოუშვებს.

ვახტანგი ერმალო ცეროცაძე 25 წელია ქიმათურის მარგანეცის მრეწველობაში მუშაობს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში ელმავლის მემანქანე იყო, ტექნიკური სწავლების კურსები დაამთავრა და კარგანახანა ცვლის უფროსია მაღაროს ტრანსპორტზე.

ქიათურის სახელოვან მაღაროელებზე ხშირად საუბრობდნენ ერმალოს ოჯახში. აქებდნენ მკლავმოუღლელ ადამიანებს, რომლებიც პატიოსანი შრომით ემსახურებოდნენ სამშობლოს...

ამ საუბარს უსმენდა ერმალოს ვაჟი აკაკი და მაღაროელთა შრომა იზიდავდა. ჭაბუკმა რვაწლიანი სკოლა დაამთავრა, მცირე ხნით კოლმეურნეობაში წაიმუშავა და შემდეგ მამის კვალს გაჰყვა, მაღაროში დაიწყო მუშაობა, გვირაბგამყვანთა იმ ბრიგადაში, რომელსაც ბ. მიროტაძე ხელმძღვანელობდა.

აკაკიმ შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი მაღაროელის სახელი დაიმკვიდრა. მაღაროდან ასეთი დახასიათებით წავიდა საბჭოთა არმიაში და იქაც თავი გამოიჩინა. საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიალოსანი გახდა, სამხედრო ნაწილის მეთაურთა მადლობები დაიმსახურა.

აკაკი კვლავ მშობლიურ მაღაროს დუბრუნდა. 1964 წლიდან იგი ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მეშვიდე საწარმოო უბანში მუშაობს მადნის მნგრეველ-ამწმენდად. გამრჯე, ხელგარჯილი მუშაა აკ. ცერცვაძე. იგი მარტო მარგანეცის ნგრევა-აწმენდის დახელოვნებული ოსტატი როდია. აკაკი დაეუფლა მადნის მომნგრევ ჩაქუჩებს, მებიგეობას, რკინიგზელობას.

ახალგაზრდა მაღაროელმა ცვლაში გეგმით 13 ტონა მადანი უნდა მოინგროს და დატვირთოს. ის კი ყოველდღიურად 16-17 ტონა მადანს იღებეა. ხუთწლედის პირველ ორ წელს აკაკიმ სამშობლოს მისცა 6.334 ტონა მარგანეცი, დავალებაზე 705 ტონით მეტი. უკეთ დაიწყო ხუთწლედის მესამე სამეურნეო წელი. მან პირველი კვარტალის დავალება ათი დღით ადრე შეასრულა, ცვლაში გეგმის გადამეტებით ოთხ-ხუთ ტონა მარგანეცს იძლევა.

თავდადებულ და პატიოსან შრომას კარგი ანაზღაურებაც მოსდევს. აკ. ცერცვაძე ყოველთვიურად 250-300 მანეთს იღებს. მას კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდებაც მიანიჭეს.

აკაკი განსაკუთრებულ უურადღებას უთმობს პროდუქციის ხარისხს, მარგანეცის პირველადს გამდიდრებას. იგი გულმოდგინედ არჩევს მადნიდან ფუჭ ქანებს, არაასოდეს არა გზავნის მარგანეცის ლოდებს, რომლებიც აფერხებს ტექნოლოგიურ პროცესებს პეროქსიდების გამამდიდრებელ ფაბრიკაში...

... მადნის სანგრევშია აკ. ცერცვაძე — ეს ნიშნავს, რომ მიწის წიაღიდან მოდის მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

ჯ. ჯიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: ა. ცერცვაძე, ფოტო ა. მაჭავარიანისა.

ახალი სახელები

მადნის სანგრევშია აკაკი ცერცვაძე

ზრომითი ნოგათები

საქართველოს კპ ონის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. აბაიშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა, რომ რაიონის მშრომელებმა 28 მარტისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.582 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.200 ცენტნერისა, 1.827 ცენტნერი რძე ნაცვლად 1.800 ცენტნერისა, 32.900 ცალი კვერცხი ნაცვლად 30 ათასი ცალისა.

ქარელის რაიონის მხვნელ-მთესველებს ვალდებულება ჰქონდათ ნაკისრი საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვა პირველი აპრილისათვის დაემთავრებინათ და ამით მტკიცედ დაეცვათ აგროწესები. ბეჯითი მუშაობით მხვნელ-მთესველებმა პირობა გაანაღდეს. თავთავიანი კულტურები უკვე დათესეს 1.525 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.440 ჰექტარისა.

ორჯონიკიძის რაიონში, — აცნობებს „კომუნისტის“ რედაქციის საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. ჯოგლიძემ**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შ. რობაქიძემ**, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ვ. გრიგალაშვილმა**, — 25 მარტს სახელმწიფოსთვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 120 პროცენტით, — რძისა — 121 პროცენტით, კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა — 105 პროცენტით.

ნულაბიძის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა დაამთავრა ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების კაპიტალური რემონტი და ძირითადი საწარმოო ინვენტარის შეკეთება-დამზადება. ფაბრიკა მზად არის ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის მიღება-გადამუშავებისათვის. 25 მარტისათვის ფაბრიკამ მიიღო და გადაამუშავა 150 ტონა ლაო ჩაე და ამით მარტო საერთო პროდუქციის გეგმა შეასრულა 122 პროცენტით, ხოლო პირველი კვარტალის გეგმა — 168 პროცენტით, — ამის შესახებ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა ფაბრიკის დირექტორმა კაშნიბაძემ.

რენტაბელობა. ზოგება

ტყიბული. (საკ. კორ.). „მეფრინველეთა ქალაქი“ — ასე უწოდებენ ტყიბულ-ჰესის წყალსაცავის სანაპიროზე გაშენებულ მეფრინველეობის საკოლმეურნეო-ბთაშორისო ფერმას. იგი 9 წელია არსებობს. ფრინველთა მოშენებას ემსახურება ექვსი კორპუსი, ერთი ინკუბატორი და დამზმარი ნაგებობანი. მეფრინველეთათვის აგებულია 2 საცხოვრებელი სახლი.

შარშან აქ 261 ცენტნერი ფრინველის ხორცი აწარმოეს და წლიური დავალება 12 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდეს. აღსანიშნავია, რომ კილოგრამი ხორცის წარმოება დაუჯდათ 1 მანეთი და 27 კაპიკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 მანეთისა და 40 კაპიკისა.

მეფრინველეებმა კარგად დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი. ივნვარ-თებერვალში ფერმამ სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. საკოლმეურნეობათაშორისო ფერმას ხუთწლედის ბოლოსათვის 5.500 მოზრდილი ქათამი უნდა ჰყოლოდა. აქ ამჟამად ჰყავთ 8.000 ფრთა ქათამი.

ა. ნ. კოსიგინი ირანში გაემგზავრა

1 აპრილს მოსკოვიდან თეირანს წავიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი.** საბჭოთა მთავრობის მეთაური მეგობარ ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა ირანის შაჰინშაჰის მთავრობის პრემიერ-მინისტრის ამირ აბას ჰოვეიდას მიწვევით.

ა. ნ. კოსიგინთან ერთად ირანში გაემგზავრნენ სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ა. მურადიანი,** ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კახაროვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ვ. მ. ვინოგრადოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები **ლ. მ. ზამიატინი** და **ს. პ. კიკტევი.**

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე **ა. ნ. კოსიგინი** და მისი თანამგზავრები გააცილეს **გ. ი. ვორონოვმა, ა. პ. კირილენკომ, კ. ტ. მაზუროვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, ი. ვ. ანდროპოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, თ. დ. კულაკოვმა** და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

„მილიონერი“ შადრევნები

ტომსკი, 30 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს ლუგინეცკის მოედანზე, რომელიც ბეოლოგებმა აღმოაჩინეს ნარიმის მხარეში, ამოხეთქა გაზის მძლავრმა შადრევანმა. წინასწარი გამოანგარიშებით, მისი სიმძლავრეა მილიონი კუბური მეტრი დღე-ღამეში. ეს აქ უკვე მეორე „მილიონერი“ შადრევანია.

ახალი უმდიდრესი გაზის საბადო მდებარეობს მილჯინო-კუზბასის გაზსადენის ტრასაზე.

ბრატსკის ახალი ელექტრული „მდინარეები“

ბრატსკი, 30 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის ელექტროგადამცემი ხაზების ძაბვით ამუშავდა ალუმინის ქარხანა. ამ 220 კილოვატის ელექტრული „მდინარის“ სიგრძეა 40 კილომეტრი.

ახლა ბრატსკშენის ელექტრომემონტაჟეებს გაჰყავთ კიდევ ერთი ხაზი — ბრატსკ-უსტ-ილიმი. მისი სიგრძე 260 კილომეტრია. წელს მწყობრში ჩადგება მეორე მაღალძაბვიანი ტრასა — ჟელეზნოგორსკ-ილიმ-უსტ-კუტი.

მარად ცოცხალი

„მიუვარს მშვენიერი საქართველო, და განსაკუთრებით რევოლუციური საქართველო... ჩემს ცხოვრებაში არის მთელი რიგი ძვირფასი სახელები და მოგონებანი, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოსთან.“ — მაქსიმ გორკის ეს სიტყვები საუკეთესოდ გადმოგვცემენ დიდი მწერლის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, ქართული მიწისადმი, ქართველი ხალხისადმი. იგი არასოდეს არ ივიწყებდა, რომ აქ დაიბადა როგორც მწერალი, აქ დაბეჭდა თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“.

ამ დღეებში პროგრესული კაცობრიობა ფართოდ აღნიშნავს მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავს. ქართველი ხალხიც დიდი სიყვარულით პატივს სცემს მწერლის ხსოვნას.

1 აპრილს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამოზე მოვიდნენ მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, წარმოების მოწინავეები, მოსწავლეები.

სცენაზე გორკის დიდი პორტრეტია. ბრწყინავს ციფრები „1868 — 1968“.

პრეზიდიუმში არიან **ამხანაგები ჰ. როდიონოვი, რ. ფრუიძე, გ. ჩოგოვაძე, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი,** რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის **წევრები, მწერლები.**

ა. მ. გორკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

საზეიმო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ მწერალმა **კ. ლორთქიფანიძემ.**

— დღეს, — თქვა მან, — ქართველი ხალხი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნავს დიდი ჰუმანისტის მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავს. იგი იყო ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი ხალხის ნამდვილი მეგობარი, განუყრელად იყო დაკავშირებული ჩვენთან. მწერალი არაერთხელ ჩამოსულა აქ, მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ლიტერატორებთან. და ამ დღეებში, როცა ვემზადებოდით მწერლის იუბილესათვის, ჩვენმა ხალხმა ასწილად აუნაზღაურა მას ეს სიყვარული.

დიდი მწერლის, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა მწერალმა **დ. შენგელაიამ.** მან გულთბილად ილაპარაკა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკიზე, რომელსაც პირადად შეხვედრია მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

— გორკის სახელი, — თქვა დ. შენგელაიამ, — ახლობელი და ძვირფასია ქართველი მკითხველისათვის. მის წიგნებს, რომლებშიც გაისმის მგზნებარე მოწოდება რევოლუციური ბრძოლისათვის, კითხულობდნენ საქართველოში, მოუთმენლად მოგელოდნენ ახალი წიგნების გამოსვლას. ხალხს ეს სიყვარული გამოეცხადა მწერლის შემოქმედებისადმი დიდი ინტერესთან, მისი პიროვნებისადმი უდიდესი პატივისცემთან.

მწერლის ლიტერატურული სამობლო სათუთად ინახავს მის ხსოვნას. აქ, რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, იზიარებდა რა მუშათა მძიმე შრომას, მუშაობდა რუსი ჰაბუკი ალექსი პეშკოვი. აქ, კრასნოგორსკის ქუჩაზე, კომეთაში უსმენდა ეკატე ნინოშვილისა და სხვა რევოლუციონერების საუბრებს.

გორკი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ქართული ლიტერატურის დიდი მეგობარი და მრჩეველი. მისი შემოქმედება მარად ცოცხალია.

საიუბილეო საღამოზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ნ. მუსხელიშვილმა,** რომელმაც გულთბილად აღნიშნა, რომ მწერალი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საბჭოთა მეცნიერებს.

გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქტორმა პოლკოვნიკმა **მ. გოლოვასტიკოვმა** თქვა, რომ გორკის ნაწარმოებები, რომლებიც სამშობლოს სიყვარულისა და მისი მტრებისადმი სიძულვილის სახელმძღვანელოებია, ფართოდ პოპულარულია ამიერკავკასიის ეთეელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებში.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა **ჯ. ბედენაშვილმა** — თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალმა. წინათ აქ იყო რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც მღებავად მუშაობდა ალექსი პეშკოვი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ა. ვასაძემ** ილაპარაკა ქართულ სცენაზე გორკის პიესების დადგმის შესახებ.

— ქართველი ახალგაზრდობა, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს აკად. ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. მეტრეველმა,** — იზრდებოდა და იზრდება დიდი პროლეტარული მწერლის ნაწარმოებებზე. მის მიერ შექმნილი სახეები ალაფრთოვანებენ ჩვენს ახალგაზრდობას შრომისათვის, სწავლისათვის.

• • •

საღამოს დასასრულს გაიმართა ქართული ხელოვნების ოსტატთა **დიდი კონცერტი.** (საქდესი).

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი თავდადებით შრომობს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამ სურათზე ხედავთ ფაბრიკის № 1 სამკერვალო საამქროს მოწინავე მკერავებს (მარცხნიდან) ლ. ბეგიაშვილს, ე. ბიპიევასა და მ. ნადირაშვილს, რომლებიც დღიურ დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პარტიული ცხოვრება

პოლიტინფორმატორი

მართალი სიტყვის დიდი ძალა

✦

ადამიანთა შეგნებულობის ამაღლებაში, კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად მათს დარაზმვაში დიდი კარგად დაყენებული პოლიტიკური ინფორმაციის როლი.

სკკპ XXIII ყრილობის დადგენილებაში აღნიშნულია: **მთელ პოლიტიკურ აგიტაციას საფუძვლად უნდა დაედოს მოსახლეობისათვის ფართო და სისტემატური ინფორმაციის მიწოდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული ცხოვრებისა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.**

რატომ დასჭირდა ასე მკვეთრად მოსახლეობისათვის პოლიტიკური ინფორმაციის მიწოდების საკითხი?

საბჭოთა ადამიანები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებით. როგორც ცნობილია, ამის შესახებ მშრომელები ინფორმაციას უმთავრესად იღებენ პრესის, რადიოს, ტელევიზიის მეშვეობით; მაგრამ ამასთანავე პარტია დიდ ორს აკისრებს ზეპირ პროპაგანდას, მშრომელთა წინაშე იმ ადამიანის გამოსვლას, რომელსაც ფართო პოროზონტი აქვს, უნარი შესწევს გაითვალისწინოს მოვლენათა სწორი ცვლილებანი. იგი პრესისა და რადიოსაგან განსხვავებით უშუალო კავშირს ამყარებს ადამიანებთან, პასუხს სცემს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

საკმაებით ბუნებრივია, რომ ყველა ადამიანს როდი აქვს შესაძლებლობა სისტემატურად იკითხოს გაზეთები, უყუროს ტელეგადაცემებს, უსმინოს რადიოს. ერთ წუთს დავუშვათ, რომ ადამიანი ახერხებს ყოველივე ამას, მაგრამ ხომ არ ვიცით, როგორ ესმის მას წაკითხული ან მოსმენილი, აკეთებს თუ არა სწორ დასკვნებს, ანდა კითხულობს თუ არა. იგი საჭიროსა და აუცილებელს.

შემდეგ, ყველას როდი ჰყოფნის მომზადება, იმის უნარი, რომ მთავარი გამოჰყოს ფაქტების იმ დიდ ნაკადში, რასაც ვიღებთ პრესის, რადიოს საშუალებით, გამოიტანოს სწორი დასკვნები.

ამგვარად, ზეპირი პოლიტიკური ინფორმაციისადმი ყურადღების ასე გამახვილება საკმაებით ბუნებრივია. სწორედ ამიტომ პარტიის XXIII ყრილობამ იგი პოლიტიკური აგიტაციის საფუძვლად გამოაცხადა და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა აიგოს მის საფუძვლებზე. ამით კიდევ უფრო გაიზარდა პოლიტინფორმაციის როლი და ადგილი მთელ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ აგიტაცია და პოლიტინფორმაცია ერთმანეთისაგან განსაკუთებულად არც შეიძლება არსებობდნენ. ისინი მჭიდრო კავშირში არიან. ინფორმაცია აგიტაციის აუცილებელი საფუძველია, მისი შემადგენელი ნაწილია. პოლიტიკური აგიტაცია ემყარება კონკრეტულ ფაქტებს, ციფრებს, მოვლენებს, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციის არსს.

— სახელმწიფო ძლერია მაშინ, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — როცა მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფერზე შეუძლიათ თავიანთი აზრი გამოთქვან და ყველაფერს აკეთებენ შეგნებულად.

ინფორმაციის დანიშნულება სწორედ ეს არის, რომ მშრომელებმა ყველაფერი იცოდნენ და უფრო აქტიურად იბრძოდნენ სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის.

და აი ადამიანთა ცხოვრების ამ ახალ გაზრდილ მოთხოვნებს უნდა წარმოეშვა და წარმოშვა კიდეც ახალი ტიპის პოლიტიკური მუშაკი — **პოლიტინფორმატორი**, რომელიც ფართოდ იკაფავს გზას.

დიდი მოვალეობა აკისრია პოლიტინფორმატორს პარტიის, ხალხის წინაშე. პოლიტინფორმატორის მოვალეობა ზუსტად ასე შეიძლება გამოვკვეთოთ: **დროულად, ოპერატიულად და ღრმად განუმარტოს მასებს პარტიის გადაწყვეტილებები, დოკუმენტები, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ხელი შეუწყოს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ აღზრდას, მათში კომუნისტური რწმენის გამომუშავებას, ხალხის მასების აქტივობის ზრდას. პოლიტინფორმატორი თავის საქმიანობაში ახამებს პოლიტიკური აგიტაციის ყველა შემადგენელ ნაწილს — ინფორმირებას, განმარტებას, მოქმედებისაკენ, პრაქტიკული საქმეებისაკენ მოწოდებას.**

ამიტომ პოლიტინფორმაციის წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ კადრებს შევარჩევთ პოლიტინფორმატორებად.

ჩვეულებრივ ახლა პოლიტინფორმატორებად გამოჰყოფენ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ მუშაკებს, მეცნიერებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, მასწავლებლებს, ინჟინრებს, ექიმებს, აგრონომებს, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს. პოლიტინფორმატორთა გამოყოფის დროს საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ მაღალი პოლიტიკური და თეორიული მომზადება, ადამიანებთან პოლიტიკური მუშაობის დიდი გამოცდილება, შეეძლოთ მშრომელთა დარწმუნება და გაყოლიება. გამოცდილება გვასწავლის, რომ პოლიტინფორმატორი თავისი მომზადებით, გამოცდილებით კარგი პროპაგანდისტის დონეზე უნდა იდგეს.

ახლა მიმდინარეობს პოლიტინფორმატორთა ჯგუფების შექმნის პროცესი. პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ შესაფერი კადრებით დაკომპლექტონ ეს ჯგუფები. მაგრამ ზოგან ამ პასუხსაგები საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, შეცდომებსაც აქვს ადგილი. არცთუ იშვიათად ინფორმატორებად ამ-ტაციებენ ამ საქმისათვის სრულიად შეუფერებელ ადამიანებს, ზოგან აგიტატორებს სახელი შეუცვლიათ, მათ პოლიტინფორმატორები დაარქვეს და ამით საქმე გადაწყვეტილად ჩათვალეს, ხოლო სხვაგან კადრების ნაკლებობას ამოფარნენ და არავითარ ზომებს არ იღებენ პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტის შექმნისათვის.

შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ ყველას შეუძლია პოლიტინფორმატორობა. იქ, სადაც ნაკლებია შესაფერი კადრები, საჭიროა ვიზრუნოთ მათი მომზადებისათვის, ვასწავლოთ ადამიანებს და ეს საქმე არ მივანდოთ შეუფერებელ პირებს. რაც შეეხება აგიტატორების პოლიტინფორმატორებად გადაყვანას, აქ დიდი დაკვირვებაა საჭირო. პოლიტინფორმატორად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ საუკეთესო აგიტატორი და არა ყველა მათგანი.

არც იმ პარტიულ ორგანიზაციებს უნდა დავეთანხმოთ, რომლებიც პოლიტინფორმატორებად ნიშნავენ ისედაც დაკავებით გადატვირთულ ამხანაგებს, მაგალითად, პროპაგანდისტებს. მიზანშეუწონელია ამ ორი პარტიული დავალების შეთავსება, რადგან არ შეიძლება რომელიმე მათგანს ზიანი არ მიადგეს.

პოლიტინფორმატორთა შერჩევას მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან, მაგალითად, თბილისის ლენინის რაიონისა და ქალაქ რუსთაველ საწარმო-დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აქ ბევრგან ძირითადად პოლიტინფორმატორებად შერჩეულ არიან მაღალი განათლების პოლიტიკური მუშაობის საკმაო გამოცდილების მქონე მუშაკები, რომელთაც უნარი შესწევთ პარტიის იდეები მიიტანონ თვითეულ ადამიანამდე, გადაჭრიან მათს სისხლხორცეულ საკმედ, დარაზმონ ისინი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად.

პოლიტინფორმატორებს ჩვეულებრივ გამოჰყოფენ იმავე შრომის კოლექტივში, უბანზე, სადაც მათ უხდებათ მუშაობა, აგრეთვე ქმნიან მათს ჯგუფებს პარტიულ ბიუროსთან, კომიტეტთან, პარტიის რაიკომთან და საჭიროების მიხედვით გზავნიან მათ ამა თუ იმ უბანზე, ობიექტზე. ცხადია, სჯობს პოლიტინფორმატორი გამოიყოს იმავე კოლექტივიდან, სადაც მას უხდება მუშაობა და დამტკიცდეს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე ან ბიუროს სხდომაზე. ამ წესის უპირატესობა ის არის, რომ იმავე კოლექტივიდან გამოყოფილი ინფორმატორები უკეთ იცნობენ ადამიანებს, იციან მათი მოთხოვნები და მისწრაფებები, წარმოების სპეციფიკა.

ახლა ძალიან ბევრი გვესმის პოლიტინფორმატორთა სპეციალიზაციაზე. რას ნიშნავს ეს?

როგორც ცნობილია, პოლიტინფორმაციის წარმატებას განაპირობებს მისი იდეური სიღრმე, ის, თუ რამდენად კომპეტენტური იქნება ამა თუ იმ დარგში ადამიანი, რომელიც მსმენელთა წინაშე პოლიტინფორმაციით გამოდის, მით უმეტეს ახლა, როცა მისი თემატიკა მეტად გაფართოვდა. ჩვეულებრივ ეს თემატიკა უნდა მოიცავდეს პოლიტიკისა და ეკონომიკის ძირეულ საკითხებს. სწორედ ამ მიზნით ახდენენ პოლიტინფორმატორთა სპეციალიზაციას ცალკეული დარგების, მიმართულებების მიხედვით. სპეციალიზაციის დროს, ცხადია, ითვალისწინებენ თვით პოლიტინფორმატორთა მომზადებას, იმას, თუ რა იციან უკეთ და რა აინტერესებთ მათ.

პოლიტინფორმატორთა სპეციალიზაცია სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარად ხდება. მაგრამ ძირითადად მაინც გამოიკვეთა შემდეგი დარგები: **ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული მომუშავეთა და მეთოდური დახელოვნების დონე.** ეს კი თავს მხრივ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ პარტიული ორგანიზაციები ადგილზე როგორ მოაწყობენ პოლიტინფორმატორთა სწავლებას, მეთოდმი დახმარებას.

არსებობს სწავლების მრავალი ფორმა, რომელთაგან პრაქტიკაში ყველაზე მეტად ვრცელდება სემინარები, საინსტრუქტაჟო თათბირები, მეთოდური კონფერენციები და სხვ.

პოლიტინფორმატორთა სწავლების კარგად მოფიქრებული სისტემაა შექმნილი ქუთაისის ბევრ საწარმოში. მაგალითად, საავტომობილო ქარხანაში პოლიტინფორმატორთა ცალკეული ჯგუფებია თითქმის ყველა საამქროსა და განყოფილებაში. ჯგუფებში გაერთიანებული პოლიტინფორმატორები განაწილებულ არიან ცალკეულ საწარმოო უბნებზე. ქარხნის პარტიულ კომიტეტთან შეთანხმებით პოლიტიკური განათლების კაბინეტი ადგენს პოლიტინფორმატორთა საუბრების ყოველთვიურ გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია მიმდინარე მომენტის მნიშვნელოვანი მოვლენები, საათნადო ადგილი ეთმობა საწარმოო-ეკონომიურ საკითხებს. ეს გეგმა ურიგდებათ პოლიტინფორმატორებს, რომ ლ ებ ი ც თვეში ორჯერ იკრიბებიან პოლიტიკური განათლების კაბინეტში, არჩევენ საუბრებს, ეცნობიან ლიტერატურას და სხვ. პოლიტინფორმატორთა მეთოდური დახელოვნების მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის მეთოდურ საბჭოსთან შექმნილია ინფორმატორთა სექცია, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.

სისტემატურ დახმარებას საჭიროებენ პოლიტინფორმატორთა ჯგუფების ხელმძღვანელებიც. თუ პოლიტინფორმატორთა სწავლება ადგილზევე ეწყობა, ჯგუფების ხელმძღვანელებისათვის სემინარების მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები. სემინარზე მსმენელები იძენენ პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო ცხოვრების საკითხების ცოდნას. ამ სემინარებში აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა გაერთიანებაც შეიძლება.

ახლა ხშირად კითხულობენ: პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტის შექმნა ხომ არ ნიშნავს აგიტატორთა ინსტიტუტის გაუქმებას? საერთოდ საკითხის ასე დაყენება სწორი არ არის. **პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტი იქმნება არა აგიტკოლექტივების გაუქმების ხარჯზე, არამედ თავიდან, ხელახლა.** საქმე ის არის, რომ ახლა პოლიტიკური აგიტაციისადმი მოთხოვნები იმდენად გაიზარდა, რომ მათი მხოლოდ აგიტატორების მეშვეობით დაკმაყოფილება შეუძლებელი შეიქნა. აგიტკოლექტივები კი არ უქმდებიან, არამედ რამდენადმე იცვლება მათი მუშაობის ხასიათი, იცვლება მათი ფუნქციები.

მაშ არის თუ არა განსხვავება აგიტატორსა და პოლიტინფორმატორს შორის? განსხვავება, ცხადია, არის, და **უწინარეს ყოვლისა მათს იდეურ-პოლიტიკურ დონეში.** პოლიტინფორმატორი უფრო მაღალ იდეურ დონეზე, უფრო კვალიფიციურად წარმართავს საგაგიტაციო მუშაობას. შემდეგ, თუ წინათ აგიტატორები გამოდიოდნენ „უნივერსალის“ როლში, სუბრებს ყველა საკითხზე და ყველა დარგში მართავდნენ, ახლა მათი ფუნქციები უფრო კონკრეტული გახდა. ჩვეულებრივ ისინი უშუალო ინდივიდუალურ მუშაობას ადამიანებთან, ახალგაზრდა მოუშაცა და კოლმეურნეებს აძლევენ რჩევა-დარიგებას, ზრუნავენ მშრომელთა მორალური აღზრდისათვის, თვალსაჩინოების გამოყენებისათვის. აგიტატორები უშუალოდ საამქროებში, ბრიგადებში, რაოლებში განუმარტავენ თანამოსაქმეებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხს, სთავეენ უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას, გამოდიან სასარგებლო წამოწყებათა, შრომის მოწინავე მეთოდების ინიციატორებად და გამავრცელებლად.

კარგად გამართული პოლიტინფორმაციის მოფიქრებული სისტემის შექმნა საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ პოლიტიკური მუშაობა მასებში, უფრო აქტიურად შევუწყოთ ხელი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

დ. კაკაბაძე,
ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქტორი.

ემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული საქართველოს სამრეწველო საწარმოებსა და საკოლმეურნეო ველ-მინდვრებში, პლანტაციებში. მრეწველობის მუშაკებმა უკვე წარმატებით განვლეს ხუთწლედის მესამე წლის პირველი კვარტალი, საკოლმეურნეო ველ-მინდვრებსა და პლანტაციებში კი ახლა იწყება ნამდვილი შრომა.

დღეშრი დავალების შესრულებას, თვითეული დეტალის სწორად დამზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ ამოწმებს თბილისის კამოს სასელობის თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების ქარხნის ტექნიკური კონტროლიორი გ. ბერძენიშვილი (მარცხენა სურათი) მოწინავე მეხუთავის ა. ახალკაცის (მარჯვნივ) მიერ დამზადებულ პროდუქციას.

აშხაზეთის ციტრუსების პლანტაციებში დაიწყო ნიადაგის გადაბარვა და ხეების მკურნალობა. სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. გულრიფშის რაიონის ილიჩის სასელობის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში (მარჯვენა სურათზე). ციტრუსებს ზეთოვანი ემულსიით მკურნალობენ (მარცხნიდან) ა. რეფიჯანოვა, ა. ავიტასი და მექანიზატორი ნ. ბუკარევი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ი. ჭობონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

შევეჯიბროთ, ვიმეგობროთ!

გორი-ფაღათალა

გორი. (ტელეფონით. „კომუნისტის“ საკ. კორ. რ. ბასილაშვილი). ხუთწლიანი გეგმის ვადამდე წარმატებით შესრულებისათვის სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება გორის რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში.

რაიონის მშრომელებს ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებაში დიდ დახმარებას უწევს მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა გამოცდილების შესწავლა. თითქმის წელიწადზე მეტია, რაც მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეულ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მშრომელები. როგორც პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ბზიშვილმა და მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონმასკომის თავმჯდომარემ ბ. გოცირიძემ აღნიშნეს, ასეთმა ღონისძიებებმა ბევრი გამოცდილება შემატა როგორც გორელ ისე რამენსკოელ მშრომელებს.

გორელებმა წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს აზერბაიჯანის სსრ ზაქათალის რაიონის მშრომელები. მათ გამოწვევა მიიღეს და ამ დღეებში ეწევიენენ გორის მშრომელებს.

ზაქათალის რაიონის მშრომელთა დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მშრომელთა დეპუტატების ზაქათალის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. ალიევი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილე ი. ყურბანოვი, პარტიის ზაქათალის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე ბ. ახმედოვი, სკოლა-ინტერნატის დირექტორი ი. ეფენდიევი.

დელეგაციის წევრებს გულთბილად, მეგობრულად შეხვდნენ გორის რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რაიონის მოწინავე ადამიანები.

პარტიის გორის რაიკომის გაფართოებულ ბიუროზე მასპინძლებმა სტუმრებს გააცნეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებები სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯ. ალიევმა გაფართოებული ბიუროს მონაწილეებს ზაქათალის მშრომელთა სახელით დიდი მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის; შემდეგ მან ბიუროს მოახსენა ზაქათალის რაიონის მშრომელთა გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები ახლო ხუთწლედში და აღუთქვა, რომ გორელთა ვალდებულებებს შინ დაბრუნებისთანავე გააცნობენ ზაქათალელ მშრომელებს. გორელთა სტუმრები რაიონში სამ დღეს დარჩნენ. მათ დაათვალიერეს რაიონის ღირსშესანიშნაობანი, ყურადღებით გაეცნენ, რაიონის საბჭოების მუშაობას, იყვნენ მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობებში, და მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკაში. გულდასმით შეისწავლეს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების მოწინავე გამოცდილება და მიღწევები.

ზაქათალელი მეგობრები გორელებმა გულთბილად გააცილეს. მალე თვითონაც ეწვევიან ზაქათალის რაიონის მშრომელებს, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდება მეგობრული ურთიერთობა ზაქათალისა და გორის რაიონის მშრომელებს შორის. ეს დიდად დაეხმარება და ხელს შეუწყობს ორივე რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების შემდგომი განვითარებისა და წინსვლის საქმეს.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ლოდინს ბოლო არ უჩანს“

პირველი მოთხოვნილებას საქონლის სავაჭროს უქონლობაზე იყო ლაბარაკი წერილში, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. წერილის გამო გორის რაიონის მეკერძისხვეის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე **ბ. გიგუაშვილი** რედაქციის ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილის „ლოდინს ბოლო არ უჩანს“ გამო გაცნობებთ, რომ მეკერძისხვეის სოფლის კოოპერატივის გამგეობამ სოფელ მუმლაანთკარის ცენტრში გახსნა კეთილმოწყობილი სავაჭრო ფარდული, რომელსაც აქვს პირველი მოთხოვნილების სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

„კომუნისტს“ უპასუხებს ქასპის რაისაბჭოს აღმასკომი

სოფელი ყარაფილი კეთილმოწყობელიაო — გვწერდნენ ქასპიდან. სიგნალი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ქასპის რაისაბჭოს აღმასკომს, რომლის თავმჯდომარე ი. **მუხიგულაშვილი** გვწერს:

გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

ზემოაღნიშნულ სოფელში კეთილმოწყობის მიზნით კოდისწყაროს სასოფლო საბჭოს და საბჭოს მეურნეობის დირექციას გათვალისწინებული აქვთ უახლოეს დროში მოხრეშონ სოფელში მისასვლელი გზა და გააკეთონ ბოგირი. მიმდინარე წელშივე გათვალისწინებული აქვთ ყოფილი საწყობის შენობა გადააკეთონ კლუბად, დაიდგმება სავაჭრო ფარდული.

სოფელ ყარაფილს სამედიცინო მომსახურებას უწევს კოდისწყაროს საექიმო უბანი, რომელიც ორი კილომეტრით არის მისგან დაშორებული. მცხოვრებთა სიმცირის გამო (ყარაფილში 52 კომლი ცხოვრობს) აქ ვერ გაიხსნება სამედიცინო პუნქტი, ასევე ვერ გაიხსნება ბიბლიოთეკა. მათ მომსახურებას უწევს კოდისწყაროს სასოფლო ბიბლიოთეკა წიგნების ადგილზე მიტანით (მოწყობილია გასაცემი პუნქტი).

სოფლის ნაწარმი საექსპორტოდ

ბათუმი. (საკ. კორ.). უცხოელებს იზიდავს არა მარტო ბათუმის მრეწველობის ნაწარმი, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქტებიც. მაგალითად, შარშან ფინეთსა და პოლონეთში რამდენიმე ვაგონი ციტრუსი გაიგზავნა.

დიდი პოპულარობა მოიპოვა არომატულმა ჩაიმ. შარშან ბათუმის რაიონის ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონის ჩაის ფაბრიკებმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვა ქვეყნებში გაგზავნეს რამდენიმე ასეული ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი.

ქართული ღვინის მარკით

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ბალნეოლოგიურ კურორტზე ბოლო ხანებში ჩამოვიდა ბულგარეთის ტურისტთა ჯგუფი. ბულგარელ სტუმრებს ბაკურიანის ბალნეოლოგიურ ინსტიტუტში ინახულებენ ინსტიტუტის ლაბორატორიის ინჟინერ-ტექნიკოსი ბ. ბოლოკაძე,

საუკთესო ხელოვნება

ქრონიკა • პროგლემები • ბიბლიოთეკა

მსოფლიოს დეკეფათა საგენტოები იუწყებიან

ტელეტაიპის ლენტიდან

ჰავანა

კვლავ ცრემლსადენი გაზი

ნიუ-იორკი. 1 აპრილი. (საკდესი). სამი დღეა ზედიზედ პანამის ეროვნული გვარდია არბევს დემონსტრაციებს ამ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. 30 მარტს საღამოს მან კვლავ გამოიყენა ცრემლსადენი გაზები.

გვარდია მხარს უჭერს მარკო რობლესს, რომელიც ეროვნულმა კრებამ მოიხსნა პრეზიდენტის პოსტიდან.

ბრაზილია

ამზადებენ ლიფერსანტებს

ჰავანა. 1 აპრილი. (საკდესი). როგორც პრენსა ლატინას საგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, ბრაზილიის ამაზონის ჯუნგლებში მოქმედებს სპეციალური სამხედრო ცენტრი.

ცენტრში სპეციალურ მომზადებას გადიან ბრაზილიელი, კოლუმბიელი, ვენესუელელი და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების სამხედრო მოსამსახურენი. აქ მსმენელები იძენენ არა მარტო ჩვეულებრივ სამხედრო ცოდნას, ფრამედ უმთავრესად სწავლობენ დივერსიების, საბოტაჟის, მოწყობასა და ძირგამომთხრელ მუშაობას.

ნიგერია

ლიდერები უარს ამბობენ

ლაგოსი. 1 აპრილი. (საკდესი). ნიგერიის ფედერალურმა ჯარებმა ხელთ იგდეს ქალაქები ოპოკო და იკოტეკპენი, ისენი სამარა მოქმედებას აწარმოებდნენ ნიგერიის ყოფილი აღმოსავლეთ პროვინციის ჯარების წინააღმდეგ, რომელმაც ბიაფრის სახელმწიფოდ გამოაცხადა თავი. მთავრობის მეთაურმა გოვონმა განაცხადა, რომ მაშინვე დაიწყებს მოლაპარაკებას ბიაფრის სახელმწიფოსთან და შეწყვეტს საომარ მოქმედებას, როგორც კი მისი ლიდერები უარს იტყვიან გათიშვაზე და ცნობენ ნიგერიის თორმეტ პროვინციად ახალ ადმინისტრაციულ დანაწილებას. მაგრამ ბიაფრის ლიდერმა ოჯუკუმ რადიოთი განაცხადა, რომ არ აპირებს საომარი მოქმედების შეწყვეტას.

იაპონია

ძლიერი მიწისძვრა

ტოკიო. 1 აპრილი. (საკდესი). ძლიერი მიწისძვრა მოხდა დღეს იაპონიაში. 4-5 بალი სიმძლავრის მიწისძვრაშა გიძგები (იაპონიაში მიღებული შვიბალიანი სკალით) აღნიშნული იყო კიუსიუზე, სიკოკუსა და ხონსიუს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. სამხრეთ იაპონიაში მოხდარი მიწისძვრის დროს ძლიერი მიწისძვრაშა გიძგები აღინიშნა ხონსიუს ცენტრალურ ნაწილში.

სოციალიზმისა და პროგრესის ურღვევი ბურჯი

პრესის გამოსმაურება ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაზე

ბულგარეთი

სოფია, 31 მარტი. (საკდესი). „ნოვა ბულგარია“ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ოფიციალური ორგანოა. ეს გაზეთი ბეჭდავს ლ. ი. ბრეჟნევის ანგარიშს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XIII კონგრესზე. ეს ანგარიში ეძღვნება სოციალიზმისა და პროგრესის ურღვევი ბურჯის ამოცანებს.

**„ნოვა ბულგარია“ ლ. ი. ბრეჟნევის ანგარიშიდან ციტატებს ეძღვნება. ეს ციტატები ეხებიან ინტერნაციონალიზმის, ეროვნული ინტერესების, ეროვნული ფერხულის, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ფასეულობის, ეროვნული ენის, ეროვნული ფერის, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ისტორი

ჩვენს ყველა-ჯერ ყველაფერი

გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

ქმობა, მეგობრობა

ი. სინჯარაძის ქალიშვილი — უჟგოროდის უნივერსიტეტის სტუდენტი

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, დიდი სამამულო ომის დროს, იმპერიკარპატეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში გმირულად დაიღუპა ანანურელი მებრძოლი **ირაკლი სინჯარაძე,** რომელიც დაკრძალულია ქ. უჟგოროდის ძმათა სასაფლაოზე. შარშან უკრაინელი მეგობრების მიწვევით უჟგოროდში, ირაკლი სინჯარაძის საფლავზე იყვნენ მისი ოჯახის წევრები — მეუღლე **ლ. ნორაკიძე** და შვილები **ნუნუ** და **დიმიტრი.**

უჟგოროდელებმა დიდი სიყვარულით მიიღეს ქართველი მეომრის მახლობლები. სტუმრებისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს ახალგაზრდებმა, მათ ირაკლის ქალიშვილს ნუნუს შესთავაზეს გამხდარიყო უჟგოროდის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც გაიხსნა იმპერკარპატის საბჭოთა უკრაინასთან შეერთების შედეგად.

ახლა ნუნუ ირაკლის ასული სინჯარაძე უჟგოროდში სწავლობს. ქალიშვილი ბედნიერად გრძნობს თავს, იგი საყოველთაო სიყვარულით არის გარემოსილი. ახლახან რედაქციაში მოვიდა იმიერკარპატის ოლქის ახალგაზრდული გაზეთის **„ოლოდ ზაკარპატიას“** ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია მწერალ **ვ. პოლიშჩუკის** ჩანახატი „ქალიშვილი ანანურიდან“. ნუნუ სინჯარაძე, — წერს ავტორი, — ჩვენი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. კეთილმოწყობილ აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში ნუნუ ეუფლება მკურნალის პროფესიას. უჟგოროდში მას თითქმის ყველა იცნობს, როგორც უჟგოროდის განთავისუფლებაში გმირულად დაღუპული ქართველი ვაჟკაცის ქალიშვილს და ყველას სურს რითიმე პატივი სცეს მას.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩაის ზეიმი თბილისში

ლიდი ზეიმით დამთავრდა საქართველოში ჩაის კვირეული, რომელიც მარტის ბოლოს გაიმართა. ამ დღეებში რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების ყველა წამყვან საწარმოში საუკეთესო სპეციალისტები — საქართველოს ჩაის ტრესტის ტიტესტერები უმასპინძლდებოდნენ მომსვლელთ გემრიელი და სურნელოვანი ჩაით, უჩვენებდნენ და განუმარტავდნენ ამ პოპულარული სასმელის დაყენების წესებს, უწევდნენ დაწვრილებითს კონსულტაციას ჩაის ღირსებისა და სამკურნალო თვისებების შესახებ.

მსურველთ შეეძლოთ ყველა მაღაზიაში, კაფეში, სასადილოსა და რესტორანში, ქუჩებში და მოედნებზე სპეციალურ ლამაზად მორთულ ფარდულებსა და კიოსკებში შეეძინათ სხვადასხვანაირად დაფასოებული და სადღესასწაულოდ შეფუთული საუკეთესო ხარისხის ქართული ჩაი.

„ჩაის ზეიმის“ დღეს, 31 მარტს თბილისის ქუჩებში გაიარა ჩაის თემებზე გაფორმებული ავტომანქანების კავალკადამ, საიდანაც არიგებდნენ ბუკლეტებსა და ფურცლებს, რომლებითაც თბილისელებს იწვევდნენ „ჩაის ზეიმზე“.

საღამოს თბილისის ჩაის სახლიდან მოეწყო საინტერესო თეატრალიზებული ტელეგადაცემა — ვიქტორინა „ყველაფერი ჩაის შესახებ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წარჩინებულმა ადამიანებმა — საუკეთესო მეჩაიეებმა, ჩაის მრეწველობის მუშაკებმა, მეცნიერებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ჩაის სახლის ლაბორანტი გ. ლიპარტელიანი; მარჯვნივ — „ჩაის ზეიმი“ თბილისის ქუჩებში“.

ტექსტი და ფოტო ს. ელიავისა.



საავადმყოფო „ადამიანის დაბადება“

გასხლოვთ მაქსიმ გორკის შესანიშნავი მოთხრობა „ადამიანის დაბადება“? ეს ამბავი სოხუმსა და ოჩამჩირეს შუა მოხდა, 1892 წელს, სოფელ ანიუბუასთან, მდინარე კოდორის ნაპირზე. მომავალი დიდი მწერალი გზად მშობიარე ქალს წააწყდა და დახმარება გაუწია...

ამას წინათ სოფელ ანიუბუაში გაიმართა ლიტერატურულ-მხატვრული სალამო, რომელიც ა. მ. გორკის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

სოფლის კლუბში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დამსწრეთა შორის იყვნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. ვილაშვილი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შინკუბა, სტუმრები სოხუმიდან და სხვა ქალაქებიდან.

მოხსენებით გამოვიდა ანიუბუის საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. კუცია. დიდ მწერალთან შეხვედრის ამბავი მოიგონა უხუცესმა კოლმეურნემ ა. ფილიამ.

საღამოზე პ. ვილაშვილმა დამსწრეთ აცნობა გადაწყვეტილება, რომ სოფლის საავადმყოფოს კოდორის ნაპირზე დაერქვას „ადამიანის დაბადება“.

მ. ჯობუა.

თემატური საღამო

სიღნაღი. მაღალმა ჯილდომ — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს გარდამავალი ალმისა და ფულადი პრემიის მიღებამ სიმტკიცე და ბრძოლისუნარიანობა შემატა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს.

ამ დღეებში რაიკომისა და ადმინისტრაციული ორგანოების ინიციატივით გაიმართა თემატური საღამო — „გვერდს ნუ აუვლით“. რაიონის პროკურორმა გ. ჟორჟოლაძემ ილაპარაკა იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომლებიც დასაბულია რაიონის ადმინისტრაციული ორგანოებისა და მშრომელების წინაშე. მოხსენებითი გამოვიდნენ: საბალხო მოსამართლე ნ. რობიტაშვილი, ადოოკატი ა. ნიკოგოსოვი, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ნიქარაძე და მილიციის უფროსი ე. ჯანყარაშვილი.

დ. ბაბიაშვილი.

სტუმრები ლატვიიდან

ამ დღეებში თბილისის განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ სახლს სტუმრად ეწვია ლატვიის ცესისის რაიონის მასწავლებელთა თვითმოქმედი კაპელა.

სტუმრებმა თბილისელ პედაგოგებთან ერთად დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, შემდეგ კი თბილისის რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გამართეს კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ თბილისის საშუალო სკოლების პედაგოგები და თანამშრომლები.

ო. იაშაღაშვილი.



ბ. სპასკი — ე. გელერის მატჩი გაიხსნა

სოხუმი. 1 აპრილი. (ტელეფონით საკ. კორ.). დღეს აქ გორკის სახელობის კულტურის სახლში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების **ბ. სპასკისა** და **ე. გელერის** მეოთხედფინალური მატჩი ჭადრაკში.

მატჩი გახსნა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ი. ჯანდამ.** მეტოქეებს მიესალმნენ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ე. მილანოვსკი,** პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე **თ. ჩხიკვაძე** და აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე **რ. კაკიაშვილი.**

მატჩის მთავარმა არბიტრმა **ვ. მიკენასმა** დამსწრეებს გააცნო ასპარეზობის დებიუტანტი. შემდეგ კი მოეწყო წილისყრა. პირველ პარტიაში თეთრებით ითამაშებს **ე. გელერი.**

ხვალ შედგება პირველი პარტია.



ფეხბურთი

ნარუმეტებლობა სტარტზე

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (კიევი) — 0:2 (0:1). ქუთაისი. 1 აპრილი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — **ს. ალიბეროვი** (მოსკოვი).

„ტორპედო — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ნიკოლაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ფეფიკა, ერქომაიშვილი, ასიტაშვილი, ხუციშვილი (ვეფუა), ბაუალია, ხერხაძე;

„დინამო“ — ბანიკოვი, ვანკეკოვი, სოსნინინი, ოსტროვსკი, ლეონენკო, ტურიანჩიკი, მუნტიანი, ბიშოვეცი (პარკუიანი), მედვიდი, ზერებრიანეოვი, ზმელნიცკი.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან — კიევის „დინამოსთან“ სტარტზე შეხვედრა ქუთაისის ტორპედოელებისათვის მეტად დაძაბული გამოდგა.

მასპინძლები თავდადგენ აგრესიულად იყვნენ განწყობილნი და სტუმრებს მაღალი ტემპი შესთავაზეს. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა **ბაუალია,** რომელმაც კიდევაც შექმნა რამდენიმე საგოლო მომენტი, მაგრამ ყოველთვის, როცა ტორპედოელები წინ მიიწევდნენ, თავს იჩენდა კიეველთა დიდი გამოცდილება, დაცვის გაზრებული, მონოლითური თამაში.

უნდა ითქვას, რომ კიეველები ყველა რგოლში შეწყობილად თამაშობდნენ და ადვილად უსლტეგობდნენ ტორპედოელთა ნახევარდაცვას, რომელიც ერთობ სცოდავდა, დაკარგული ჰქონდა მოედნის ცენტრი. ამის გამო იყო, რომ ნახევარმცველები კონტროლს ვერ აწარმოებდნენ შეტევის, ან პირველით კიეველთა კონტრშეტევის დროს.

მე-40 წუთზე კიეველთა ერთი შეტევისას „ტორპედოს“ დაკარმდა. **მუნტიანის** მიერ ჩამწოდებული ბურთი თავური დარტყმით გაიტანა **ლეონენკომ.**

1:0 დინამოელთა სასარგებლოდ — ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევარი ორმხრივი შეტევებით დაიწყო. მე-60 წუთზე **ბანიკოვმა** მეტად სახიფათო ბურთი მოიგერია. მალე **კვასხვაძეც** ჩაება თამაშში. 66-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან **ბიშოვეცმა** მიიღო ტურიანჩიკის გადაცემა და შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი ზედა ძელს ქვეშოთ. ამ ბურთის მოგერიება ძნელი იყო. ანგარიში გახდა 2:0.

ჩემპიონმა გაიმარჯვა 2:0 და პირველი ორი ქულა ჩაიწერა აქტივში.

დუბლიორთა მატჩის შედეგია 5:1 კიეველთა სასარგებლოდ.

ზ. თოდაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ლუგანსკსა და გაქოში

გუშინ გაიმართა XXX საიუბილეო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი ფეხბურთში.

გასული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებს — მოსკოვის დინამოელებს შეხვედრა ჰქონდათ ლუგანსკში ადგილობრივ „ზარიასთან“. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ბაქოს „ნეფტჩისა“ და პირველობის დებიუტანტის — კიროვაბადის „დინამოს“ შეხვედრის შედეგია 1:0 „ნეფტჩის“ სასარგებლოდ.

საჭადრაკო გაზაფხული

სალო ფლორი

ჭადრაკის ფიგურები წლის არავითარ დროს უჯრაში არ უნდა შეინახოთ. ჭადრაკის თამაში შეიძლება ყოველგვარ ამინდში, მთელი წლის განმავლობაში.

დიდი ხანია ცნობილი გახდა, რომ ქალთა კონფლიქტი ნონა გაფრინდაშვილი — ალა კუშნირი გაიმართება სეტტემბერში — ხავერდის სეზონში. მე სპეციალურად ვიხმარე სიტყვა „კონფლიქტი“, ვინაიდან მსოფლიოს ორ უძლიერეს მოჭადრაკე ქალს შორის უთანხმოება წარმოიშვა მათი მატჩის ადგილის გარშემო. ბოლოს, ვგონებ, საერთო ენა გამოინახა და უკანასკნელი ცნობებით, სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილების შეებრძოლებიან პაულ კერესის ქალაქში — ტალინში.

მამაკაცებში გაზაფხულზე გადაწყდება მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანესი საკითხი: ვინ გახდება პრეტენდენტი? იქნებ, ისევე როგორც ალა კუშნირმა ქალებში, ბორის სპასკიმ მამაკაცებში მეორედ მიაწიოს პეტროსიანთან შებრძოლებას. სპასკი წინააღმდეგი როდია, ვინაიდან ტ. პეტროსიანთან მატჩში მას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა. როგორ ფორმაშია სპასკი? ამას ვერავინ ვერ იტყვის, ვინაიდან ბორისს უკანასკნელ ხანს „ხელში შაში არ აუღია“. პრაქტიკულ თამაშში ხანგრძლივი პაუზა აშკარად შედის სპასკის მომზადების გეგმაში. მან იცის, რომ კიდევ მოასწრებს საკმაოდ ითამაშოს. მან ყველაზე უკეთ იცის, რომ პრეზიდენტთა ტურნირი ნერვების საშინელი დაძაბვაა. მ. გელერთან მატჩში სპასკი აშკარად ფავორიტად მიაჩნიათ, მაგრამ ამაოდ ფიქრობენ ზოგნი, რომ ამ მატჩში „კითხვები არ არის“. არა. ამ მატჩის შედეგს მნიშვნელოვანი კითხვის ნიშანი უზის. არამც და არამც არ შეიძლება ითქვას, რომ სპასკის, რომელმაც წარსულში იოლად დაამარცხა გელერი 5,5:2,5, ამჟამრადაც კეთილი ცხოვრება ელის. გელერს რეგანში სწყურია. იგი სერიოზულად ემზადებოდა და მ. ბოტვინიკის კონსულტაციითაც კი სარგებლობდა. მართალია, მსოფლიოს ეჭვ-ჩემპიონი ამას ხუმრობით უარყოფს: „არა, გელერს ჩემგან რა ესწავლება, მე თვითონ ვსწავლობ მისგან“.

საინტერესოა, რომ საერთო ანგარიშით სპასკი და გელერი ერთმანეთს შეხვდნენ 23-ჯერ. სპასკიმ გაიმარჯვა 6-ჯერ, გელერმა 4-ჯერ, 13 შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ეს ციფრები სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ძალიან დაძაბულ მატჩს მოველოდეთ. გრანდმაისტერები თავიანთ ორთაბრძოლას საჭადრაკო ქალაქ სოხუმში მართავენ. გრანდმაისტერთა ერთადერთი ხუმრობა, რომელსაც მათი დაძაბული მატჩის მთელი სიმწვავის მიუხედავად აზრი არ დაუკარგავს იუმორისათვის, იმაში მდგომარეობს, რომ მატჩის დაწყების დღე გახლავთ... პირველი აპრილი. ყოველივე დანარჩენი კი ძალიან და ძალიან სერიოზული იქნება.

ჭარსულში ურთიერთობა მ. ტალსა და ს. გლიგორიჩს შორის აშკარად მ. ტალის სასარგებლოდ იყო: ხუთი გამარჯვება, ერთი დამარცხება და 8 ყაიმი. თუ მიმა ჯანმრთელად იქნება, იგი მოვალეა სძლიოს იუგოსლავ გრანდმაისტერს. მაინც აუცილებელია, რომ ფსიქოლოგიური პლუსი ამ მატჩში გლიგორიჩის მხარეზეა. რატომ? იმიტომ, რომ ტალისაგან ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს მოელიან, გლიგორიჩისათვის კი უფრო ადვილი იქნება თამაში, ვინაიდან მას შეუძლია ბევრი რამ მოიპოვოს და თითქმის არაფერი არა აქვს დასაკარგავი. ასეთი მოწინააღმდეგე კი შეიძლება ძალიან საშიში აღმოჩნდეს. გლიგორიჩს არ მიაჩნია, რომ მისი მდგომარეობა უიმედოა: იგი გულდასმით ემზადებოდა და ისვენებდა. ამას წინათ გლიგორიჩმა დაამარცხა ჰოლანდიელი გრანდმაისტერი ი. დონნერი 6,5:3,5. გლიგორიჩ-ტალის მატჩი იუგოსლავიაში გაიმართება.

ლარსენი — პორტიში. ეს წყვილი მატჩს დაიწყებს აპრილის ბოლოს, ამასთან აგრეთვე იუგოსლავიაში.

ბენტ ლარსენი ლ. პორტიშთან ორთაბრძოლას იწყებს როგორც დიდი ფავორიტი. ბენტ ლარსენს, 1967 წლის საუკეთესო მოჭადრაკეს, რომელმაც ბევრ წამყვან საბჭოთა მოჭადრაკეს გაუფუჭა გუნება, ყველა საფუძველი აქვს მოელოდეს წარმატებას არა მარტო მეოთხედფინალში, არამედ შემდეგაც. არაერთხელ შეიძლებოდა ყოველგვარ ამინდში, მთელი წლის განმავლობაში.

ბორის სპასკი



ბენტ ლარსენი

ლ. პორტიში

ფსიქოლოგიურად პორტიში რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაშია, თუ რაკეს გაუფუჭა გუნება, ყველა საფუძველი აქვს მოელოდეს წარმატებას არა მარტო მეოთხედფინალში, არამედ შემდეგაც. არაერთხელ შეიძლებოდა ყოველგვარ ამინდში, მთელი წლის განმავლობაში.

ბენტ ლარსენ-პორტიშის მატჩში მსოფლიოს ჩემპიონი ლარსენის „გულშემატკივარი“ იქნებ. მ. ბოტვინიკი და ტ. პეტროსიანი ძალიან მაღალ შეფასებას როდი აძლევენ დანიელი გროსმაისტერის შანსებს მსოფლიოს პირველობისათვის ბრძოლაში.

ლ. პორტიში სოლიდური მოჭადრაკეა. მის თამაშში ბევრი რამ არის დამოკიდებული განწყობილებაზე. თუ მან კარგად დაიწყო, მისი ტემპის შენელება ძნელია. 1965 წლის წარსული ციკლში უნგრელი გროსმაისტერი შეხვდა ტალს და ფაქტიურად მატჩის დაწყებამდე დანებდა პანიკური განცხადებით: მე არავითარი შანსი არა მაქვს ტალის წინააღმდეგ. მაგრამ ტალთან თამაში და წაგება სასიამოვნო და საპატიოა. ცხადია, ასეთი განწყობილებით ბრძოლაში ჩაბმა შეუძლებელია და, პორტიშმა, რასაკვირველია, წააგო. ამჟერად უნგრელ გროსმაისტერს ასეთი განცხადება არ გაუკეთებია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პორტიში იმედით აღსავსეა, ყოველ შემთხვევაში იბრძოლებს და თანაც, როგორც ჩვენ გვგონია, მის თამაშში ბევრი წიწაკა იქნება.

ფსიქოლოგიურად პორტიში რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაშია, თუ

ბ. სპასკი — ე. გელერი. მათი შეხვედრების ანგარიშია 4:0 (!) პორტიშის სასარგებლოდ ძალიან ადვილად შეიძლება, რომ ლარსენ-პორტიშის მატჩში მსოფლიოს ჩემპიონი ლარსენის „გულშემატკივარი“ იქნეს. მ. ბოტვინიკი და ტ. პეტროსიანი ძალიან მაღალ შეფასებას როდი აძლევენ დანიელი გროსმაისტერის შანსებს მსოფლიოს პირველობისათვის ბრძოლაში.

ლ. პორტიში სოლიდური მოჭადრაკეა. მის თამაშში ბევრი რამ არის დამოკიდებული განწყობილებაზე. თუ მან კარგად დაიწყო, მისი ტემპის შენელება ძნელია. 1965 წლის წარსულ ციკლში უნგრელი გროსმაისტერი შეხვდა ტალს და ფაქტიურად მატჩის დაწყებამდე დანებდა პანიკური განცხადებით: მე არავითარი შანსი არა მაქვს ტალის წინააღმდეგ. მაგრამ ტალთან თამაში და წაგება სასიამოვნო და საპატიოა. ცხადია, ასეთი განწყობილებით ბრძოლაში ჩაბმა შეუძლებელია და, პორტიშმა, რასაკვირველია, წააგო. ამჟერად უნგრელ გროსმაისტერს ასეთი განცხადება არ გაუკეთებია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პორტიში იმედით აღსავსეა, ყოველ შემთხვევაში იბრძოლებს და თანაც, როგორც ჩვენ გვგონია, მის თამაშში ბევრი წიწაკა იქნება.

ფსიქოლოგიურად პორტიში რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაშია, თუ

ბ. სპასკი — ე. გელერი. ორთაბრძოლას იწყებს როგორც დიდი ფავორიტი. ბენტ ლარსენს, 1967 წლის საუკეთესო მოჭადრაკეს, რომელმაც ბევრ წამყვან საბჭოთა მოჭადრაკეს გაუფუჭა გუნება, ყველა საფუძველი აქვს მოელოდეს წარმატებას არა მარტო მეოთხედფინალში, არამედ შემდეგაც. არაერთხელ შეიძლებოდა ყოველგვარ ამინდში, მთელი წლის განმავლობაში.

ჭარსულში ურთიერთობა მ. ტალსა და ს. გლიგორიჩს შორის აშკარად მ. ტალის სასარგებლოდ იყო: ხუთი გამარჯვება, ერთი დამარცხება და 8 ყაიმი. თუ მიმა ჯანმრთელად იქნება, იგი მოვალეა სძლიოს იუგოსლავ გროსმაისტერს. მაინც აუცილებელია, რომ ფსიქოლოგიური პლუსი ამ მატჩში გლიგორიჩის მხარეზეა. რატომ? იმიტომ, რომ ტალისაგან ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს მოელიან, გლიგორიჩისათვის კი უფრო ადვილი იქნება თამაში, ვინაიდან მას შეუძლია ბევრი რამ მოიპოვოს და თითქმის არაფერი არა აქვს დასაკარგავი. ასეთი მოწინააღმდეგე კი შეიძლება ძალიან საშიში აღმოჩნდეს. გლიგორიჩს არ მიაჩნია, რომ მისი მდგომარეობა უიმედოა: იგი გულდასმით ემზადებოდა და ისვენებდა. ამას წინათ გლიგორიჩმა დაამარცხა ჰოლანდიელი გროსმაისტერი ი. დონნერი 6,5:3,5. გლიგორიჩ-ტალის მატჩი იუგოსლავიაში გაიმართება.

ლარსენი — პორტიში. ეს წყვილი მატჩს დაიწყებს აპრილის ბოლოს, ამასთან აგრეთვე იუგოსლავიაში.

ბენტ ლარსენი ლ. პორტიშთან